პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 აგვისტო, შაბათი, 1986 წ.
№ 169 (9330) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინ...

კოლორადო-სპრინგსი. პირველი მსოფლიო ჩემპიონი 1000 მ. გიტში გამოვლინდა. ოქროს მედალი ახალი მსოფლიო რეკორდით მაიკ მალხოვმა (გდრ) მოიპოვა — 1.02,091. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი (1.03,431) ულდის ბრემანისს ჰქონდა — V ადგილი.

4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ვიაჩესლავ ეკიმოვი და ბერნდ დიტერი (გდრ), აგრეთვე გინტაუტას უმარასი (სსრ კავშირი) და დინ ვუდი (ავსტრალია).

გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთორმეტე პარტია

ეს იყო „ლონდონის მიკრომატჩის" უკანასკნელი პარტია და ალბათ ადვილი გასაგებია, რა ხდებოდა ამ დღეს დიდ ბრიტანეთში. ინტერესი ამ შეხვედრისადმი მეტად ცხოველი იყო, მით უმეტეს, რომ იგი გაიმართა მეთერთმეტე პარტიის შემდეგ, რომელიც ყველა სპეციალისტმა საუკეთესოდ მიიჩნია მატჩის პირველ ნახევარში, ხოლო ზოგიერთმა საჭადრაკო ხელოვნების შედევრადაც აღიარა. ბუნებრივია, ამ დღესაც გულშემატკივარი რაღაც განსაკუთრებულს ელოდა. მართალია, მეთორმეტე პარტია საკმაოდ საინტერესოდ და, შეიძლება ითქვას, დაძაბულადაც მიმდინარეობდა, მაგრამ ინგლისელი გულშემატკივარი მაინც გულნაკლული დარჩა. მან ამ საღამოს ვერ იხილა ის აზარტი, ის სითამამე, ის ბრწყინვალება, რაც უხვად იყო წინა პარტიაში. კარპოვ-კასპაროვის მეთორმეტე შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად. 34-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მეთორმეტე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ლასკერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 კe7 4. მf3 მf6 5. კg5 h6 6. კ:f6 კ:f6 7. e3 0—0 8. ეc1 c6 9. კd3 მd7 10. 0—0 dc 11. კ:c4 c5 12. ლe2 a6 13. ეfd1 cd 14. მ:d4 ლe7 15. მe4 კe5 16. მf3 კb8 17. ლd2 b5 18. კe2 მf6 19. მ:f6+ ლ:f6 20. ლd4 კb7 21. ლ:f6 gf 22. b3 f5 23. g3 კ:f3 24. კ:f3 ეa7 25. ეc6 მფg7 26. კe2 კe5 27. h3 კf6 28. ეdd6 ეfa8 29. მფg2 კe7 30. ეd2 b4 31. g4 fg 32. hg a5 33. f4 ეd8 34. ე:d8. ყაიმი.

ამრიგად, მატჩ-რევანშის პირველი ნახევრის ანგარიშია 6,5:5,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. ახლა მეტოქენი სამშობლოში დაბრუნდებიან და ლენინგრადში განაგრძობენ დავას.

წინსვლის სტიმული

[...]ლეებში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს [...]ნისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დად[...]ლება „მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური [...]ალისტური შეჯიბრების შესახებ".

[...]ევანდელ პირობებში, როცა [...]რებული ტემპით მიმდინარე[...] გარდაქმნები ცხოვრების ყვე[...]არგსა და სფეროში, როცა [...]ის შემოქმედებითი ენთუზია[...] ემსახურება ერთ მთავარ მი[...] — სკკპ XXVII ყრილობის [...]ოვნათა განუხრელად შესრუ[...]ს, სოციალისტური შეჯიბრებ[...]ნიშვნელობა კიდევ უფრო იზ[...]ა.

[...]აზღვროდ დიდია ფიზკულტუ[...]ი და სპორტული ორგანიზა[...]ის როლი ქვეყნის სოციალურ[...]ომიკური ამოცანებისა და სა[...]წიფო გეგმა-დავალებათა შე[...]ლებაში. შრომით კოლექტივე[...] ყველაფერი კეთდება საიმის[...], რომ ჩვენმა მშრომელებმა [...] იმუშაონ და უკეთ დაისვენ[...]წინა პლანზეა წამოწეული ად[...]ის ფაქტორი. ფიზიკური კუ[...]რა და სპორტი მხოლოდ ჯა[...]ელობის განმტკიცებისა და [...]ვრული გართობა-დასვენების [...]ალება როდია. იქ, სადაც სა[...] კარგად არის დაყენებული, [...]ქტივში სამაგალითო დისციპ[...] და ორგანიზებულობაა, აშ[...] ჩანს ერთსულოვნება დასა[...] მიზნის მიღწევაში. განა ასე [...]შვა შესანიშნავი თაოსნობა — [...]ლი ბრიგადით სტარტზე!" [...]შეიქმნა სპორტულ-ახალგა[...]ული რაზმები და ბრიგადები [...]რმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტია ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. რაც მეტი ფიზკულტურელია საამქროში, უბანზე, მთლიანად საწარმოში, მით უფრო თვალსაჩინოა წარმატება შრომაში, მაღალია შრომისნაყოფიერება და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ეს თავისებური რეზერვია, რომლის სრული ძალით გამოვლენა და ამოქმედება აუცილებელი მოთხოვნაა.

ახალგაზრდობა როგორც ყველგან, შრომისა და სპორტის ერთიანობის საქმეშიც მაგალითს იძლევა, ჭაბუკებსა და ქალიშვილებს სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ახალი სპორტული ბაზებისა და კულტურული კერების ქსელის გაფართოებაში. დადგენილებაში ვკითხულობთ: „მხარდაჭერა და ფართო გავრცელება პოვა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ინიციატივამ — მიმდინარე წელს სულ ცოტა ოთხ დღეს იმუშაონ სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე".

სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ უნდა გაიშალოს უშუალოდ ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს შორის. მათ ხომ თავიანთი ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებებიც აქვთ შესასრულებელი. ლაპარაკია ფიზკულტურელთა რიცხვის ზრდაზე, ნიშნოსან-თანრიგოსანთა, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებაზე, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებულ წარმატებებზე, რაც უწყებრივი სოციალისტური შეჯიბრების მოთხოვნებში შედის.

სადირექტივო ორგანოები ჩვენგან მოითხოვენ სრული საჯაროობა მივანიჭოთ სოციალისტურ შეჯიბრებას, ვაქციოთ იგი დაფარული რეზერვების გამოვლენისა და ახალი რესურსების ამოქმედების ბერკეტად, არ შევანელოთ „უკომპრომისო ბრძოლა შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციაში ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლენების წინააღმდეგ".

სოციალისტური შეჯიბრებისადმი დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად, შემოქმედებითად მიდგომა, ამ შეჯიბრებაში ფართო მასების ჩაბმა იმის საწინდარია, რომ წარმატებით შესრულდება 1986 წლის ივნისის პლენუმის უმნიშვნელოვანესი მითითებები, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები.

ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების, ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა წვლილი ამ ამოცანების შესრულებაში თვალსაჩინო უნდა იყოს.

ფინალში—ვადამდე

„იმედის თასზე"

[...]ლგოროდი (ტელეფონით, [...] კორ.). საქართველოს ჭაბუკ[...]ურთელთა ნაკრებმა ნახევარ[...]ლური შეჯიბრების დამთავ[...]მდე ერთი ტურით ადრე პო[...]ა საკავშირო ალკკ ცენტრა[...]ი კომიტეტის პრიზის — „იმე[...] თასის" გათამაშების ფინალურ [...]ნირში მონაწილეობის უფ[...]ა.

[...] აგვისტოს, ასპარეზობის ბო[...]წინა ტურში, ჩვენი გუნდის [...]ქე იყო მოლდავეთის ნაკრები. [...]ედრა გათამაშების ლიდერის, [...]რთველოს ნაკრების აშკარა [...]რატესობით წარიმართა. ანგა[...]ი მე-17 წუთზე ზუსტი თავუ[...] დარტყმით გახსნა ზურაბ ნიკოლეიშვილმა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კობა ხარჩილავამ მეორედ აიღო მეტოქის კარი — 2:0. შესვენებამდე ჩვენს გუნდს კიდევ რამდენჯერმე შეეძლო წარმატების მიღწევა. საკმარისია ითქვას, რომ მამუკა აფციაურის დარტყმების შემდეგ მოლდაველთა კარი ორჯერ იხსნა ძელმა. მეორე ტაიმში, 51-ე წუთზე, თავი გამოიჩინა ბახვა თედეევმა, რომელმაც 3:0-მდე გაზარდა ანგარიში. მოლდაველებმა ისღა მოახერხეს, რომ 73-ე წუთზე ერთი საპასუხო ბურთი გაიტანეს. 3:1 — გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა.

უზბეკეთის ჭაბუკთა გუნდმა მეტად პრინციპული მატჩი მოუგო ლიტველებს — 2:1, ხოლო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ყაზახ თანატოლებს აჯობეს — 2:0.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ საქართველოს ნაკრებს 7 ქულა ჰქონდა და, როგორც ზემოთაც ვთქვით, ვადამდე მოიპოვა „იმედის თასის" ფინალური ტურნირის საგზური. მეორე საგზურის ბედი გუშინ, რსფსრ — უზბეკეთის შეხვედრაში გაირკვა. გუშინდლამდე უზბეკეთის ნაკრებს 6 ქულა ჰქონდა, რუსეთის ფედერაციის კოლექტივს — 5. გუშინვე გაიმართა ბოლო ტურის დანარჩენი ორი მატჩიც: საქართველო — ყაზახეთი და ლიტვა — მოლდავეთი.

[...]ამ დღეებში მცხეთის რაიონის [...]ელ წილკნის საჭიდაო სარბიე[...]ზე მოეწყო საქართველოს პირად[...]უნდური ზონალური ასპარეზობა [...]თულ ჭიდაობაში. შეჯიბრება [...]მართეს აგროსამრეწველო კომპ[...]ექსის მუშაკთა პროფკავშირის [...]სპუბლიკურმა კომიტეტმა და [...]ოლმეურნის" რესპუბლიკურმა სა[...]ომ.

[...]ზონალურ პირველობაში გაიმარ[...]ეს: ზ. პავლიაშვილმა, თ. ცოცი[...]შვილმა, ვ. ოსიაშვილმა, ფ. ჩი[...]ნდრიშვილმა და ე. სტეფანია[...]ვილმა (ყველა — მცხეთა), თ. [...]ველურმა, ლ. და დ. მამუკელა[...]შვილებმა, ხ. ჯანიბეგაშვილმა (ოთ[...]ეე — ახმეტა). გუნდური ადგი[...]ები ასე განაწილდა: 1. მცხეთა, [...] ახმეტა, 3. ლაგოდეხი.

ფოტო და ტექსტი
თამაზ ჭიჭავასი.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ყველაზე რთული და ყველაზე ტექნიკური

რუსუდან ხოფერია — სპარტაკიადის ჩემპიონი

170 ქულა 103-ის ნაცვლად

კიევი. ბატუტზე ხტომა არ იყო ტრადიციული სასპარტაკიადო დისციპლინა, ამიტომაც IX სპარტაკიადის ფინალში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მხოლოდ ცხრა კოლექტივი მონაწილეობდა. ამ გუნდებიდან ფავორიტებად რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კოლექტივები ითვლებოდნენ, რომლებსაც შემადგენლობაში ჰყავთ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები.

პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ ლიდერობა სწორედ ამ სპორტსმენებმა იგდეს ხელთ. ქალთა ინდივიდუალურ ხტომებში, მაგალითად, 15 წლის ვორონეჟელი მოსწავლე, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი ტატიანა ლუშინა დაწინაურდა, ვაჟებში კი უკრაინის გუნდის წევრი, მსოფლიო ჩემპიონი ვადიმ კრასნოშაპკა.

მაგრამ პირველი დღის სავალდებულო ვარჯიშებში წარმატება საქმის მხოლოდ ერთი ნახევარია. საჭირო იყო მისი შენარჩუნება და განმტკიცება, რაც, სხვათა შორის, ბრწყინვალედ მოახერხა 22 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ვადიმ კრასნოშაპკამ. იგი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ვაჟთა შორის.

ქალებში კი... შეჯიბრების მეორე ნახევარს ბრწყინვალედ გაართვა თავი 14 წლის ქართველმა გოგონამ რუსუდან ხოფერიამ. მეტსაც გეტყვით, მისმა ნატიფმა ოსტატობამ, ბრწყინვალე და გაბედულმა ხტომებმა მსაჯებზე და სპეციალისტებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ხოფერიამ დიდი ალმავლობით შეასრულა დასკვნითი ხტომები და ქალთა შორის IX სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა.

რუსუდან ხოფერიას წარმატება შემთხვევითი რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ მსაჯთა კოლეგიამ მისი ვარჯიში შეაფასა, როგორც ყველაზე რთული და ყველაზე ტექნიკური.

გათამაშდა მედლები სხვა სახეობებშიც. სინქრონულ ხტომებში, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა იმარჯვეს: ქალებში — ტატიანა ლუშინამ და ირინა სლონოვამ, ვაჟებში — დიმიტრი პოლიარუშმა და ოლეგ ფედოსოვმა.

სხვათა შორის, რუსუდან ხოფერიამ ირმა თანდილაშვილთან ერთად სინქრონულ ხტომებში იასპარეზა და VI ადგილი დაიკავა. ვაჟთა ინდივიდუალურ ხტომებში კი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მიხეილ პელივანოვი IX ადგილზე გავიდა.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთის ფედერაცია — 438,5 ქულა, 2. უკრაინა — 349,5, 3. ბელორუსია — 257, 4. ლენინგრადი — 206,5, 5. საქართველო — 170, 5, (აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს ნაკრებს 103 ქულა ჰქონდა დაგეგმილი), 6. ყაზახეთი — 63, 7. მოლდავეთი — 60,5, 8. უზბეკეთი — 41,5, 9. ტაჯიკეთი — 30.

სასპარტაკიადო ტურნირის პარალელურად ჩატარდა ბატუტზე მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი. აქ ოქროს მედლები მოიპოვეს: ინდივიდუალურ ხტომებში — ლილია ივანოვამ (ბელორუსია) და ვადიმ კრასნოშაპკამ, სინქრონულ ხტომებში — სპარტაკიადის ჩემპიონებმა პოლიარუშ-ფედოსოვისა და ლუშინა-სლონოვას წყვილებმა.

კარს მოგვადგა ცოდნის დღესასწაული — პირველი სექტემბერი, რა მდგომარეობაა თბილისში სასწავლებლების სპორტულ ბაზებზე?

იხ. მე-2 გვ.

ᲛᲣᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲠᲓᲘᲚᲘ

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲘᲓᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲠᲐᲜᲚᲝ ᲓᲐᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ

ᲠᲐᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ ᲑᲐᲙᲔᲗᲓᲐ

ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲑᲠᲥᲐᲜᲔᲑᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔᲡ ᲘᲠᲕᲔᲕᲡ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲡᲠᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲕᲑᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲗ. ᲐᲛ ᲖᲔᲘᲛᲡ ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲐᲢᲐᲠᲐᲪ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲑᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲕᲠᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲑᲕᲘᲮᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲕᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲠᲐᲣᲚᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲠᲧᲝᲑᲠᲘᲗ ᲓᲑᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲑᲐ-ᲑᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ, ᲗᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲝᲤᲔᲥᲢᲔᲠᲘ, ᲡᲐᲣᲠᲑᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲪᲘᲐᲚᲘᲠᲘ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲘ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲙᲔᲠᲔᲑᲘ — ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ, ᲦᲘᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲔᲑᲘ, ᲢᲘᲠᲔᲑᲘ... ᲑᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲐᲠᲪ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲐᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘ, ᲠᲝᲑᲝᲠᲘᲪ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲑᲠᲥᲜᲝᲑᲝᲓᲐ, ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲘᲛᲩᲜᲔᲝᲓᲐ — ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲑᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ-ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲑᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲑᲐᲜᲝᲔᲑᲛᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲛᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲛᲐ, ᲡᲐᲨᲔᲤᲝ ᲝᲠᲑᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲑᲐᲯᲐᲪᲜᲝᲑᲗ, ᲠᲐ ᲑᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ:

ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ ᲩᲐᲓᲑᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲝᲗᲮᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ;

ᲑᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — ᲐᲘᲑᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ, №184 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ. 173-Ე ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲑᲐᲛᲝᲔᲧᲝ 177-Ე ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ; ᲨᲔᲙᲔᲗᲓᲐ ᲛᲔ-16, 21-Ე, 79-Ე, 69-Ე, 120-Ე, 136-Ე, 167-Ე, 113-Ე ᲓᲐ 174-Ე ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘ.

26 ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — ᲐᲘᲑᲝ № 180 ᲡᲙᲝᲚᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘᲗ;

ᲡᲐᲥᲐᲠᲮᲜᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — 95-Ე ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲙᲔᲗᲓᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲦᲘᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘ, 145-Ე ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, 156-Ე ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲡ, ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲘᲑᲝ ᲐᲡᲤᲐᲚᲢᲘ.

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲦᲘᲐ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲡ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲩᲐᲓᲑᲐ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ ᲛᲔ-10 ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲘᲗ. 138-Ე ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲐᲣᲨᲔᲜᲓᲐ 25-ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲢᲘᲠᲘ, 142-Ე ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲑᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲑᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘ, ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲦᲘᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘ, 164-Ე ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲡ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ ᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲢᲘᲠᲘ.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲝᲗᲮᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ.

ᲐᲣᲖᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲔᲚᲘᲡ

ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ ᲩᲐᲓᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲦᲝᲛᲘᲡ, 147-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲬᲧᲚᲘᲡ ᲑᲐᲛᲬᲛᲔᲜᲓᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛ ᲐᲣᲖᲘᲡ ᲡᲣᲤᲗᲐ, ᲙᲐᲛᲙᲐᲛᲐ ᲬᲧᲐᲚᲘᲐ, ᲨᲔᲙᲔᲗᲓᲐ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲜᲫᲔᲑᲘ, ᲡᲐᲨᲮᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘ, ᲘᲛᲐᲢᲐ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲣᲖᲘᲡ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ᲑᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ, ᲐᲥᲕᲔ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲯᲑᲣᲤᲔᲑᲘ. ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ 1976-1980 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲝᲑᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ.

ᲐᲥ ᲙᲘ ᲐᲡᲔ ᲔᲑᲔᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲡᲠᲐᲕᲚᲝ ᲠᲔᲚᲡ





ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ. ᲕᲘᲗᲝᲛ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲛᲩᲜᲔᲕᲡ ᲯᲐᲑᲐᲠᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲣᲠ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ ᲐᲧᲠᲘᲚ ᲡᲐᲤᲐᲠᲡ?

ᲐᲘ, ᲐᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲘᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ.





„ᲤᲠᲐᲑᲛᲔᲜᲢᲘ“ ᲐᲣᲨᲘᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ.

ᲐᲠᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ. ᲡᲐᲯᲘᲓᲐᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲐᲠᲙᲔᲢᲘ ᲐᲧᲠᲘᲚᲘᲐ, ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲧᲝᲜᲐᲕᲡ.



111-Ე ᲐᲠᲝᲤᲔᲥᲔᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ. ᲐᲛ ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲗᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲜᲙᲐᲠᲔᲑᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐᲖᲔᲐ.

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲛᲝᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑ

ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲖ... ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣ... ᲝᲑᲐᲨᲘ (ᲑᲐᲛᲑᲔᲠᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐ... ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢ... ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠ-ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘ Ბ... ᲠᲐᲑᲐᲫᲔ) ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲓ... ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲛᲝ ᲯᲘᲠᲓᲐ ᲨᲔᲕᲘ... ᲑᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ Ს... ᲫᲕᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲗ Მ... ᲧᲝ ᲦᲘᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲚ... ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ... ᲡᲐᲯᲘᲓᲐᲝ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚ Ბ... ᲖᲔ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ... ᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲡᲘᲡᲢᲔ... ᲠᲐᲓ ᲘᲕᲐᲠᲯᲘᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ... ᲠᲕᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲠᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓ... ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲣᲕᲘ...

ᲕᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲐᲠᲘ... ᲑᲠᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮ...

ᲠᲔᲚᲡ ᲛᲔᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲔᲓ ᲩᲐ... ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘ... ᲡᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲡᲐᲖᲝᲑᲐ... „ᲑᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐ... ᲡᲐᲑᲭᲝᲛ. ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ... ᲘᲧᲝ: „ᲛᲗᲔᲚᲘ ᲑᲠᲘᲑᲐᲓᲘᲗ — ... ᲓᲘᲝᲜᲖᲔ“, „ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ... ᲠᲢᲖᲔ“. ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲑᲐᲛ... ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲠ... 500-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐ... ᲠᲔ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲔᲯᲘᲑ... ᲓᲜᲔᲜ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲯᲐᲓ... ᲢᲧᲕᲘᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐᲨᲘ, ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣ... ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲨᲘ, ᲪᲣᲠᲕᲐᲨᲘ, Ჩ... ᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲛᲘ... ᲯᲘᲓᲨᲘ.

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲐ... ᲑᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲑᲘᲚᲘ... ᲙᲐᲕᲐ ᲡᲐᲠᲠᲢᲙᲚᲣᲑᲛᲐ „ᲨᲣᲥ... ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲗᲛᲔᲣᲜᲔ... ᲛᲐ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲑᲘᲚᲖᲔ ᲑᲐᲖᲘ... ᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲥᲡᲐᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ... ᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢ... ᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ.

ᲛᲖᲘᲐ ᲐᲙ...

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲓᲐᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑ...

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐᲜᲐ...

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲡᲣᲚ... ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲘᲝᲜᲗᲐ... ᲡᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲓᲔ... ᲡᲘ“ (ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Რ. ᲙᲐ... ᲕᲘᲚᲘ). ᲙᲚᲣᲑᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐ... ᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ... ᲛᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣ... ᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲗᲝᲑᲐ-ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ...

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲮᲕᲐᲛᲚᲘᲡ ᲛᲗᲐ... ᲔᲬᲧᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲗᲝ ᲢᲣ... ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ... ᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢ ᲛᲣᲠᲐᲓ ᲯᲘ... ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ... ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲙᲚᲣᲑᲛᲐ ᲛᲝᲐᲬ... ᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ ᲠᲐᲘᲝ... ᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜ ᲐᲓᲑᲘᲚᲐᲡ — ᲙᲐᲢ... ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑ... ᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲑᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ... ᲚᲔᲝᲑᲘᲗ. ᲐᲥᲕᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲚᲐᲨᲥ... ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲠᲐ... ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐ... ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ... ᲜᲔᲜ. ᲐᲠᲝᲑᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ Ბ... ᲑᲐᲓᲐᲫᲐᲚᲕᲐ, ᲙᲠᲝᲡᲘ, ᲤᲠᲔᲜᲑᲣ... ᲐᲓᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲑᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ: 1... ᲫᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ, 2. ᲕᲐ... ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝ... ᲠᲜᲔᲝᲑᲐ, 3. ᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔ... ᲝᲑᲐ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲙᲚᲣᲑᲛᲐ ᲛᲝᲐᲬ... ᲚᲝᲢᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲑᲐᲓᲐᲠᲗᲔᲜᲐ... ᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ. ᲔᲡ ᲦᲝ... ᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲡᲔᲠᲑᲝ Ო... ᲙᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡ...

ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲔᲚᲔᲝᲚᲝᲑᲘᲘᲡ ... ᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ... ᲤᲔᲚ ᲑᲖᲕᲐᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ... ᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲙᲐᲠᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲦᲔᲕᲘ...

ჩვენი ფეხბურთის პრობლემები

ასეთი აღრიცხვა დაუშვებელია

ერთი ბიბლიოთეკა

ჩვენ არ ვიცით, რამდენი გუნდი გვყავს და სად გვყავს, რადგან ასეთი აღრიცხვა არ არსებობს. არ ვიცით, ვარჯიშობენ ისინი თუ არა და რამდენად სისტემატურად ვარჯიშობენ, რადგან ისევ და ისევ, არ არსებობს ასეთი ანგარიში. დასასრულ, თამაშობენ თუ არა ისინი და რამდენად რეგულარულად თამაშობენ? — ვინ იცის. არადა, დასახული გვაქვს უმნიშვნელოვანესი ამოცანა მასობრივ ფეხბურთში — მივაღწიოთ იმას, რომ იგი სრულფასოვნად ასრულებდეს თავის მისიას, როგორც თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საუკეთესო საშუალება, მასების ფიზიკური და მორალური აღზრდის წყარო, მოთამაშეთა დაოსტატების უტყუარი გზა. მაგრამ იმისთვის, რომ ეს პროცესი ვმართოთ და მის განვითარებას საჭირო მიმართულება მივცეთ, პირველ ყოვლისა აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი ამოსავალი მონაცემები ვიცოდეთ.

მაინც რა პირველადი ცნობებია საჭირო ამისათვის? მხოლოდ ის, რაც დიდი ხანია სავალდებულოდ ითვლება ფიზკულტურასა და სპორტში ჯგუფობრივი მეცადინეობისათვის, რასაც იძლევა უმარტივესი აღრიცხვა — ტაბელი, საწვრთნელ მეცადინეობებზე დასწრებისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის რეგისტრირება. შემოღებულია ამ ყოველწლიური აღრიცხვის ფორმა. მისი შევსება სავალდებულოა ყველა ფიზკულტურული კოლექტივისთვის, რომელსაც მოქმედი ფეხბურთელები ჰყავს. ეს ფორმა იძლევა პასუხს ყველა საინტერესო კითხვაზე: ფეხბურთელთა რამდენი გუნდია კოლექტივში (ცალ-ცალკე — ჩვეულებრივი და მინი-ფეხბურთისა), რამდენი საწვრთნელი მეცადინეობა და შეჯიბრება ჩაატარეს მათ საერთო ჯამში და რამდენ კაცდღეს შეადგენს ეს დრო.

ვიმეორებ, ამ მონაცემების გარეშე შეუძლებელია მასობრივი ფეხბურთის განვითარების წარმართვა. ხოლო იმისთვის, რომ ყველა ეს ცნობა გვქონდეს, მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო: ყოველმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა, რომელსაც ფეხბურთელები ჰყავს, გუნდების ტაბელების მიხედვით აწარმოოს წლიური აღრიცხვა და ცნობები გადაგზავნოს ორი მისამართით — ადგილობრივ სპორტკომიტეტში და თავის სპორტსაზოგადოებაში (უწყებაში). მხოლოდ ამ პირველადი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე უნდა ადგენდნენ და ზემდგომ ორგანოებში გზავნიდნენ თავიანთ კრებსით ანგარიშებს რაიონული (საქალაქო) სპორტკომიტეტები, სპორტსაზოგადოებები და უწყებები.

წელეულს ვცადეთ ასეთი აღრიცხვის დანერგვა, მაგრამ პირველი პური კუტი გამოდგა. ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ რაიონული (საქალაქო) სპორტკომიტეტების, როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკური სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სრული უპასუხისმგებლობის გამო.

რესპუბლიკური სპორტსაზოგადოებები და უწყებები საერთოდ ჩამოსცილდნენ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს. მათ არ დაგზავნეს ადგილობრივი სპორტსაზოგადოებების მეშვეობით ფიზკულტურულ კოლექტივებში ანგარიშების ფორმები. იქ არ უზრუნიათ მათ შევსებაზე და ადგილობრივ სპორტკომიტეტებსა თუ სპორტსაზოგადოებებში დროულად გადაგზავნაზე. რამდენადაც პირველადი ცნობები არ იყო და ეს არავის აღელვებდა, რაიონულმა ორგანოებმა ვერ გამოსავალს მიაგნო: სპორტსაზოგადოებებმა საერთოდ არ შეადგინეს ანგარიში, სპორტკომიტეტები კი შეთხზულ „ანგარიშებს“ დასჯერდნენ. მართლაც რამდენად სუსტი უნდა იყოს ხელმძღვანელი, რომ აღრიცხვიანობაში დაინახოს არა მუშაობის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება, არამედ მხოლოდ ზედმეტი საზრუნავი, რომლისგან თავის დასაღწევადაც შეუძლია ყველა საშუალებას მიმართოს.

ბორჯომელთა ანგარიში, მაგალითად, „ბვაორწუნებს“, რომ „კოლმეურნეში“ 32 სექციაა, ჰყავთ 929 ფეხბურთელი და ერთადერთი (?!) ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც არც ერთხელ არ უვარჯიშია და 29 მატჩი ჩაატარა, რომ ბორჯომის რაიონში არ არის საკოლო ფეხბურთი. როგორ დავუჯეროთ? განა სირცხვილი არ არის ასეთი ანგარიშების გამოგზავნა იმ იმედით, რომ მათ, სულ ერთია, არავინ წაიკითხავს? აი, ამის გამო დავკარგეთ შესაძლებლობა გავცნობოდით ამ რაიონის მასობრივი ფეხბურთის მდგომარეობას. იგივე მოხდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ერთი სიტყვით, ნაწილმა საერთოდ არ უპასუხა ფორმის მთავარ კითხვებს, სხვებმა კი მასში ციფრები ალალბედზე ჩაწერეს. პირველთა სიას, ძნელია დაჯერება, სათავეში ჩაუდგნენ აფხაზეთისა და ქუთაისის სპორტკომიტეტები. აფხაზეთის სპორტკომიტეტმა საერთოდ არ გამოგზავნა მონაცემები „ტყავის ბურთის“ შესახებ. „კოლმეურნეს“ ჰქონია ფეხბურთის 137 სექცია, ჰყოლია 2788 ფეხბურთელი და მხოლოდ 10 გუნდი (?!), „განთიადს“ შესაბამისად — 29, 819, 1 (?!), „სპარტაკს“ — 101, 2400, 5 (?!), „ლოკომოტივს“ — 14 სექცია და არც ერთი გუნდი. ასე გრძელდება ბოლომდე. საინტერესოა, რას ფიქრობდა ის ადამიანი, ვინც ამ აბდაუბდას ხელი მოაწერა?

როგორ დავიჯეროთ, მაგალითად, რომ ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სულ შვიდი გუნდია და შვიდივე მინი-ფეხბურთს თამაშობს? სად გაქრნენ თუნდაც „ტყავის ბურთის“ ოთხ ასაკობრივ ჯგუფში მოთამაშე გუნდები?

რაც მთავარია, აფხაზეთის, ქუთაისის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სპორტული ორგანიზაციები ვალდებული იყვნენ გაეგოთ და ჩვენთვის ეცნობებინათ, რამდენი გუნდი ჰყავთ, სად არიან ეს გუნდები, ვის ეკუთვნიან, სულ რამდენი ფეხბურთელი ვარჯიშობს და თამაშობს, მაგრამ ეს ვალდებულება არ შეასრულეს.

ბევრმა ასე თუ ისე ცნობები მოგვაწოდა, მაგრამ ეს ცნობები, მეტი რომ არა ვთქვათ, სინამდვილისგან შორსაა. ამ მხრივ ყველას გაუსწრეს აჭარის ანგარიშის შემდგენლებმა. მხოლოდ იმით ვინუგეშებთ თავს (თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია), რომ შემდგენლები ასე თუ ისე გარკვეულან ფორმების შედგენაში და ციფრები ციფრებთან დაუკავშირებიათ. ასე რომ, თუკი ფაქტობრივი მონაცემები ექნებათ, შეძლებენ სწორი ანგარიშების წარმოდგენას.

ალბათ იკითხავთ, რა საბუთი გაქვთ, რომ წლევანდელ ანგარიშებში მოყვანილი მონაცემები შეთხზულიაო? ჯერ ერთი, ეს აშკარაა, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ფიზკულტურული კოლექტივების მონაცემებს არ ეყრდნობა (იქ მსგავსი არაფერი შეუდგენიათ); მეორე, ამაზე მიგვანიშნებს თვით ანგარიშებში მოყვანილი ციფრების ხელთუხურობა და შეუსაბამობა. თბილისის ანგარიშში (სხვათა შორის, მასში არ არის მოყვანილი „ტყავის ბურთის“ მონაცემები) ციფრთა მთელი სისტემა იმაზეა აგებული, რომ თითოეულ გუნდს მიწერილი აქვს 104 საწვრთნელი მეცადინეობა (კვირაში ორი) და 5-5 თამაში წელიწადში, მაგრამ ეს ხომ ციფრებით თამაშია და არა საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა. აჭარიდან გამოგზავნილ ანგარიშში თვალში გეცემათ, პირველ ყოვლისა, შემდგენელთა „მოკრძალება“ (თბილისელებთან შედარებით). ისინი თითოეულ გუნდს წელიწადში 50-60 მეცადინეობას „ატარებინებენ“. ამავე დროს, ირკვევა, რომ ყველაზე მეტს ვარჯიშობენ ეზოს გუნდების ბიჭები (წელიწადში საშუალოდ 64-ჯერ). იქვე მითითებულია, თითქოს „ტყავის ბურთის“ გათამაშებაში მხოლოდ სასკოლო გუნდები იღებდნენ მონაწილეობას. თუ ასეა, მაშინ 60 ეზოს გუნდი საიდან გაჩნდა?

ბევრს, როგორც ვთქვით, კარგად გაუწაფავს ხელი ყალბი ანგარიშების შედგენაში, მაგრამ მათ გვერდით უბრალოდ უწიგნურად შედგენილი ცნობებიც გვხვდება. ავიღოთ, მაგალითად, ფოთელთა ანგარიში. ვინ დაიჯერებს, რომ „ვოდნიკის“ გუნდები წელიწადში საშუალოდ 220 (?!) დღეს ვარჯიშობენ და თან 32 მატჩს ატარებენ?

„შრომითი რეზერვების“ გუნდებს 341 საწვრთნელი მეცადინეობა და 43 მატჩი ჩაუტარებიათ, ჯამში კი ნაჩვენები აქვთ 384-ის ნაცვლად სულ 333 (?!). განათლების სამინისტროს გუნდებს თითქოს 600 ვარჯიში და 30 მატჩი აქვთ ჩატარებული, რამაც საბოლოოდ 170 დღე (?!) შეადგინა. საერთოდ კი ფოთის გუნდებს ჩატარებული ჰქონიათ 33586 საწვრთნელი მეცადინეობა და 409 თამაში, რაც ჯამში თურმე 2500 (?!) დღეს შეადგენს. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა.

მაგრამ ყველაზე მეტად მაინც რუსთაველებმა გაგვაოცეს. წელიწადში, მოგეხსენებათ, 365 დღეა, რუსთაველი ფეხბურთელებიდან კი თითოეული წელიწადში საშუალოდ 2002 დღეს ვარჯიშობს (?!): არ უნდა დავფიქრდეთ, რას ვწერთ?

არის სხვა, საპირისპირო მაგალითებიც. ასპინძის რაიონში ფეხბურთელთა გუნდებს 7208 მეცადინეობა ჩაუტარებიათ, რამაც 2160 კაცდღე შეადგინა. გამოდის, რომ გუნდის ყოველ მეცადინეობას საშუალოდ ესწრებოდა არა 20-15-10, არამედ... 0,3 (?!) ფეხბურთელი. ეს საიდუმლო მასპინძელთა სინდისზე იყოს. თუმცა მათ შეუძლიათ თავი ინუგეშონ იმით, რომ ასეთი ციფრობრივი მეტამორფოზების საქმეში მარტონი არ არიან.

მაგრამ რაც იყო, იყო. ახლა წინ არის 1986 წლის ანგარიშების შედგენა. აუცილებელია უკვე ახლავე შეუდგეთ მზადებას და რაც შეიძლება კვალიფიციურად, დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ საქმეს.

როგორც უკვე ვთქვით, რესპუბლიკის მასობრივ ფეხბურთში 1985 წელს აღრიცხვისა და ანგარიშგების ჩამორჩენისთვის პასუხისმგებლობა, პირველ ყოვლისა, ეკისრებათ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს, რომლებმაც არ იზრუნეს იმისთვის, რომ ფიზკულტურის კოლექტივებმა ეს უბრალო აღრიცხვა შემოიღონ. თუ ამ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა უკვე ახლავე უნდა უზრუნველყონ ფიზკულტურის კოლექტივები აღრიცხვის ფორმებით და ჩაატარონ შესაბამისი ინსტრუქტაჟი მათი შევსების შესახებ. გარდა ამისა, შეგახსენებთ, რომ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების ანალოგიით, მასობრივ ფეხბურთში თავიანთი კრებსითი ანგარიშები უნდა ჰქონდეთ. მათ დროულად უნდა გადაუგზავნონ ეს ანგარიშები თავიანთ სპორტკომიტეტებს, რესპუბლიკურმა სპორტსაზოგადოებებმა კი — საქართველოს სპორტსახკომს.

საფეხბურთო ანგარიშებში წესრიგის განმტკიცებისთვის აუცილებელია, რომ ადგილობრივი სპორტკომიტეტები ამ ცნობების გარეშე არ იღებდნენ წლიურ სტატისტიკურ ანგარიშებს ფიზკულტურის კოლექტივებისაგან.

მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაუდგამთ წინ, თუ, ვიმეორებთ, ზუსტად არ გვეცოდინება, რამდენი ფეხბურთელთა გუნდი გვყავს, როგორია მათი დისლოკაცია და რამდენი დრო ეთმობა საფეხბურთო მეცადინეობას. აღრიცხვის წარმართვა, აღრიცხვით ხელმძღვანელობა, მასობრივი ფეხბურთის მართვის ხარისხის ამაღლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს აღრიცხვა კი გუნდებსა და სექციებში იწყება.

...თუ გვსურს, რომ მასობრივი ფეხბურთის ხელმძღვანელობის დონე ყველა საფეხურზე ამაღლდეს, პირველ ყოვლისა, მისი დღევანდელი დონე უნდა ვიცოდეთ.

ვლადიმერ მდივანი.

I ლიგა

27 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 31-ე ტურის მატჩები.

„დინამო“ (ბათუმი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:2 (1:2)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 27 აგვისტო.

„დინამო“: კუცია, გოგაიტიძე, ანდღულაძე, დურდიძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი (პაიჭაძე), ათუაშვილი, შელია, გორგილაძე, მაისურაძე (კარანაძე).

„დაუგავა“: კულაკოვი, დეგლისი, ალექსეენკო, ხ. ხემოონოვი, ტეგლეცოვი, პოპოვი, შიტიკი (ინტენბერგი), პაჩკო, სტარკოვი, მილევსკი, ვ. ხემოონოვი.

მსაჯი ვ. კობელევი (ტაშკენტი). გაფრთხილეს ზედანიც, ხ. ხემოონოვი.

ლიგის ერთპიროვნულ ლიდერთან ბათუმელებმა წარმატებით დაიწყეს მატჩი: მიმდინარეობდა მეორე წუთი, „დაუგავას“ საჯარიმო მოედანზე სწრაფად შეიჭრა ზედანია, მაგრამ მცველებმა იგი აკრძალული ილეთით წააქცევეს და მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. ანდღულაძემ ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

რიგელებმა მარცხს კონტრიერიშებით უპასუხეს, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მასპინძელთა კართან და უკვე მე-5 წუთზე შიტიკმა შორეული დარტყმით აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

მინდორზე უაღრესად დაძაბული, საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა, ბათუმელები ხშირად უტევდნენ, მაგრამ კარგად თამაშობდნენ მეკარე კულაკოვი და მცველები, 27-ე წუთზე კი სტუმრებმა მორიგი კონტრიერიში განახორციელეს, შიტიკის გადაცემა ზუსტად გამოიყენა მილევსკიმ — 2:1.

შესვენების შემდეგ ბათუმელები კვლავ უტევდნენ, კვლავ კარგად თამაშობდა მეკარე კულაკოვი, 51-ე წუთზე „დაუგავას“ კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, მაისურაძემ დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

ანგარიშის გათანაბრების უკანასკნელი შანსი ბათუმელებს მატჩის ბოლო წუთებზე მიეცათ, მაგრამ გორგილაძემ ვერ გამოიყენა კარგი შესაძლებლობა და ლიდერმა საბოლოოდ შეძლო გამარჯვების შენარჩუნება.

ოთარ მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

იპედის „ატლანტასს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ ზაპოროჟიეში შეხვდება „მეტალურგს“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	29	19	6	4	64-30	44
„გურია“	30	16	5	9	43-38	37
„პამირი“	30	14	9	7	47-27	37
„შინიკი“	30	14	8	8	30-21	36
ცსკა	27	15	5	7	40-23	35
ასკ „კარ.“	30	13	9	8	46-33	35
„ლოკომ.“	30	13	9	8	42-32	35
„როტორი“	30	15	3	12	43-35	33
„ფახთაქ.“	30	13	6	11	39-43	32
„დინამო“ ბ.	30	13	5	12	32-38	31
„ფაკელი“	30	12	7	11	33-30	31
„როსტს.“	29	11	9	9	47-42	31
„კოლოსი“	28	11	9	8	30-30	31
„მეტალურ.“	28	11	5	12	37-33	27
„ყუბანი“	29	8	11	10	27-30	27
„სპარტაკი“	30	8	10	12	39-41	26
„კოტაიკი“	30	8	10	12	29-33	26
„კუზბასი“	29	8	10	11	34-42	26
„დინ.“ სტ.	29	7	12	10	36-35	26
ასკ რ.	29	9	7	13	30-34	25
ასკ ხ.	30	7	8	15	34-47	22
„ისკრა“	30	7	8	15	19-41	22
„ატლანტ.“	29	5	7	17	23-46	17
„ნისტრუ“	30	4	6	20	22-62	14



რ. ფალკაოს „საიდუმლო მისია“

რობერტო ფალკაო ბევრს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მომავალ მწვრთნელად მიაჩნია, მაგრამ, როგორც ირკვევა, ფალკაო ჯერჯერობით არ აპირებს თავი დაანებოს თამაშს.

33 წლის ფეხბურთელი „საიდუმლო მისიით“ იმყოფებოდა რომში, სადაც იტალიის რომელიმე კლუბთან აპირებდა კონტრაქტის დადებას. კერძოდ, ასახელებენ პირველი ლიგის დებიუტანტს „ემპოლის“.

იხევ პაოლო როსი?

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალმა მწვრთნელმა აზელიო ლიჩინიმ განაცხადა, რომ ცნობილი ფორვარდი პაოლო როსი იყო და არის დიდი ფეხბურთელი, მწვრთნელს მომავალშიც ექნება ამ თავდამსხმელის იმედი.

კიეველთა ახალი წარმატება

კიევის „დინამოს" ფეხბურთელებმა სულ ახლახან დიდ წარმატებას მიაღწიეს ჰოლანდიაში გამართულ ოთხთა ტურნირში, სადაც მათთან ერთად გამოდიოდნენ საერთაშორისო ფეხბურთში ცნობილი კლუბები — „აიაქსი" (ჰოლანდია), „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი), „ბოტაფოგო" (ბრაზილია).

ამ დღეებში კი კიეველი ფეხბურთელები მადრიდში მონაწილეობდნენ იქაურ ტრადიციულ ტურნირში სანტიაგო ბერნაბეუს თასზე, სადაც მათ ასეთივე ძლიერ მეტოქეებთან მოუხდათ ბრძოლა. ამ ტურნირში კიეველთა გარდა გამოდიოდნენ მადრიდის „რეალი", ბრიუსელის „ანდერლეჰტი" და ბუქარესტის „სტიაუა". ოთხივე ეს კლუბი სხვადასხვა წლებში ფლობდა ევროპის საკლუბო გათამაშებათა თასებს, „სტიაუა" ამჟამად ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია, „რეალი" კი უეფა-ს თასისა.

პირველ ტურში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „დინამო" — „ანდერლეჰტი", „რეალი" — „სტიაუა". გამარჯვებები მოიპოვეს „დინამომ" — 1:0 (ბურთი 22-ე წუთზე გაიტანა ზავაროვმა) და „რეალმა" 4:0 (1:0).

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა მატჩმა კიევის „დინამოსა" და მადრიდის „რეალს" შორის, თვით თამაში კი უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მე-16 წუთზე დინამოელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა სანჩესმა, 3 წუთის შემდეგ კი ხუანიტომ გალიეგოს გადაცემით მეორედ აიღო მეტოქის კარი — 2:0.

ასეთი ანგარიშის მიუხედავად კიეველებმა მოუმატეს თამაშს, მაღალი ტემპი განავითარეს და 28-ე წუთზე იარემჩუკმა „რეალის" კარის წინ გაიყვანა იაკოვენკო, რომელმაც მეტად ეფექტური გოლი გაიტანა — 1:2.

შესვენების შემდეგ კიეველებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა, 75-ე წუთზე ბელანოვმა მეორე საპასუხო ბურთი გაიტანა 11-მეტრიანი დარტყმით, მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი ბელანოვ-შჩერბაკოვის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა, კიეველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2, ისინი დაეუფლნენ სანტიაგო ბერნაბეუს საპატიო თასს.

მატჩი მესამე ადგილისთვის „სტიაუასა" და „ანდერლეჰტს" შორის, დამატებითი დროის ჩათვლით, დამთავრდა ფრედ — 2:2. დამატებითი პენალტების სერიით გაიმარჯვეს რუმინელმა ფეხბურთელებმა — 6:5.

მკითხველი — გაზეთი

⊙ გთხოვთ განგვიმარტოთ ვის უნდა ვუწოდოთ ჩოგბურთში აბსოლუტური ჩემპიონი და ფლობდა თუ არა ამ ტიტულს ალექსანდრე მეტრეველი?

ლალი ძიძიგური,
თბილისი.

— აბსოლუტურ ჩემპიონს ჩოგბურთში უწოდებენ სპორტსმენს, რომელიც ერთ შეჯიბრებაში სამივე თანრიგში პირველ ადგილს მოიპოვებს, ალექსანდრე მეტრეველი ერთადერთი სპორტსმენია საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში, რომელიც აბსოლუტური ჩემპიონი ექვსჯერ გახდა. 1970 და 1971 წლებში მისი თანამეწყვილეები ბაქოელი სერგეი ლიხაჩოვი და მოსკოველი ოლგა მოროზოვა იყვნენ, 1972, 1973, 1975 და 1976 წლებში თბილისელი თეიმურაზ კაკულია და ოლგა მოროზოვა.

ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის წინ

არტურ იუსუპოვი თუ ანდრეი სოკოლოვი?

1 სექტემბერს რიგაში სტარტს აიღებს ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი არტურ იუსუპოვსა და ანდრეი სოკოლოვს შორის (ორივე — სსრ კავშირი). ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული დიდოსტატი 1987 წლის თებერვალში შეხვდება გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანშში დამარცხებულს. მათ პაექრობაში გამარჯვებული კი 1987 წლის დამლევს, ესე იგი ერთი წლის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონთან გამართავს მატჩს. ●

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს. საქმე ისაა, რომ ორივე ახალგაზრდა დიდოსტატმა (სოკოლოვი ოცდასამი წლისაა, იუსუპოვი — ოცდახუთისა) შეძლო ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკის დაჯაბნა. მათ ბევრჯერ შემოუთავაზებიათ სიურპრიზი. საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ მოჭადრაკეთა მონაწილეობას პრეტენდენტის საგზურისთვის შეჯიბრებაში, რომ ამ დასკვნამდე მივიდეთ.

ანდრეი სოკოლოვის ნიჭიერება მაშინაც გამოჩნდა, როცა მან ზედიზედ მოიპოვა ჯერ ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის, მერე კი სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულები. წარმატებამ გაათამამა მუყაითი ყმაწვილი. მან შესაშური შეუპოვრობა გამოავლინა ზონალურ, საზონათშორისო და პრეტენდენტთა ტურნირებში. ბოლოს პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში სძლია რ. ვაჰანიანს (6:2), რომელიც საერთო ფავორიტი იყო.

არტურ იუსუპოვიც თავიდანვე დიდ იმედებს იძლეოდა. მისი მტკიცე ხასიათი და გამარჯვებისკენ სწრაფვა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 17 წლისა მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. მერე და მერე კიდევ უფრო თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. 1982 და 1984 წლებში ოლიმპიური ჩემპიონი იყო, ხოლო 1985 წელს მსოფლიოს პირველი გუნდური ჩემპიონის სახელი მოიპოვა. პრეტენდენტის საგზურისთვის ბრძოლაში ა. იუსუპოვმა დაამარცხა ი. ტიმანი (ჰოლანდია) — 6:3.

რა თქმა უნდა, ა. სოკოლოვი და ა. იუსუპოვი კარგად იცნობენ ერთმანეთს. თავის დროზე ორივე მ. ბოტვინიკის სკოლაში მეცადინეობდა. მაგრამ ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთხელ გაიმარჯვა იუსუპოვმა, სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. მათი ბოლო შეხვედრა შედგა პრეტენდენტთა ტურნირში, რომელშიც I-III ადგილები გაიყვეს.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მათი მატჩი მეტად საინტერესო იქნება. თუ სოკოლოვის მრწამსია იერიში, შეტევა, იუსუპოვი უფრო პოზიციური თამაშისკენ მიილტვის, უყვარს ენდშპილი, რომლის ტექნიკასაც შესანიშნავად არის დაუფლებული.

დიდოსტატებმა ურთიერთობა 16 პარტიაში უნდა გაარკვიონ. გამარჯვებისთვის საკმარისია 8,5 ან 9 ქულის მოგროვება.

მართალია, ამჟამად ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ძირითადად გ. კასპაროვ-ა. კარპოვის მატჩ-რევანშისაკენ, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, ორი ნიჭიერი ახალგაზრდა პრეტენდენტის პაექრობა გულგრილს არავის დატოვებს.

თენგიზ გიორგაძე.

მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში

უდანაკარგოდ



კოლორადო-სპრინგსი. ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატში აშშ-ის ამ მაღალმთიან საკურორტო ქალაქში (ზღვის დონიდან 1800 მ.) 200-მეტრიან დისტანციაზე გიტში მოასპარეზეებმა დაიწყეს. ეს რბოლა ახალი წესების თანახმად წინ უსწრებს სპრინტერთა ტურნირს და შეჯიბრების 24 უძლიერესი მონაწილის გვარებს ასახელებს.

პროგრამის პირველივე სახეობა ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. იგი ერთ-ერთმა უძლიერესმა სპრინტერმა მიჰაელ ჰიუბნერმა დაამყარა. 200-მეტრიანი დისტანცია გდრ-ის გუნდის ლიდერმა 10,118 წამში გაიარა. ძველი მიღწევა ჰიუბნერის თანამემამულეს ლუც ჰესლიჰს ეკუთვნოდა (10,190) და ნაჩვენები იყო კოლორადო-სპრინგსში, ამავე ტრეკზე. ჰესლიჰს ამჯერად მხოლოდ მეორე შედეგი ჰქონდა — 10,191.

სპრინტის 24 მონაწილეს შორის საბჭოთა კავშირის სამივე წარმომადგენელი მოხვდა: მათ 200-მეტრიან დისტანციაზე ასეთი შედეგები აჩვენეს: სერგეი კოპილოვმა — 10,557, ნიკოლოზ კოვშმა — 10,447. და ვლადიმერ სულთანოვმა — 10,834.

ქალთა შეჯიბრებამ ამავე დისტანციაზე სპრინტერთა ტურნირის 8 მონაწილე შეარჩია. მათ შორის, ვინც ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ბრძოლას განაგრძობს, სამივე საბჭოთა ველოსიპედისტია — ერიკა სალუმიაე — 11,574, გალინა ცარიოვა — 11,771 და ნატალია კრუშელნიცკაია — 11,883.

როგორც ხედავთ საბჭოთა კავშირის ნაკრები პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ „უდანაკარგოდ" იბრძვის.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე ამერიკელმა სტივ ჰეგმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ ღია ტრეკების ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (4.37,614). ეს მას მომავალ ბრძოლებში ერთგვარ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებდა. მაგრამ ოფიციალური შეჯიბრების საკვალიფიკაციო სერიებში უკეთესი დრო მაინც მსოფლიო ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა აჩვენა — 4.30,532. მეორე შედეგი კლაიპედელ გინტაუტას უმარასს ჰქონდა — 4.34,271, მესამე — ჰეგს — 4.36,835. გადამწყვეტი ბრძოლის 16 მონაწილეს შორის მოხვდა კლაიპედელი ვასილი შპუნდოვიც — 4.39,283.

ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

რეკორდები და... მედლები

შტუტგარტი. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატზე პირველი მსოფლიო რეკორდი 25 წლის ფატიმა უაითბრედმა (დიდი ბრიტანეთი) დაამყარა. შუბისმტყორცნელთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში მან 77 მ და 44 სმ აჩვენა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბოლოო გამარჯვებას, ვინაიდან წინაა ფინალური შეჯიბრებები და გადამწყვეტი ორთაბრძოლა საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან — პეტრა ფელკესთან (გდრ).

თავი გამოიჩინეს შუბისმტყორცნელმა ვაჟებმაც. მათ შორის საუკეთესომ კლაუს ტაფელმაიერმა (გფრ) ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 84 მ 76 სმ.

პირველი ოქროს მედალი საბჭოთა გუნდს შეჯიბრების მესამე დღეს ნადეჟდა ოლიზარენკომ მოუტანა. 800 მეტრზე რბენაში იგი პირველი იყო — 1.57,15. 3000 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონი ასევე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ოლგა ბონდარენკო გახდა — 8.33,39.

18 სახეობის შემდეგ მედლები 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. მძაფრი მეტოქეობაა გდრ-ისა და სსრ კავშირის სპორტსმენთა შორის. ჯერჯერობით წინ გერმანელი მძლეოსნები არიან, რომლებმაც უკვე თოთხმეტი სხვადასხვა ღირსების მედალი მოიპოვეს. აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის (18 სახეობის შემდეგ):

	ო.	ვ.	ბ.
გდრ	5	5	4
სსრ კავშირი	2	3	5
დიდი ბრიტანეთი	3	1	2
იტალია	1	3	1
გფრ	2	1	1
ბულგარეთი	1	3	—
შვეცია	—	1	2
ესპანეთი	1	—	1
პორტუგალია	1	—	—
შვეიცარია	1	—	—
ჩეხოსლოვაკია	1	—	—
რუმინეთი	—	1	—
ჰოლანდია	—	—	1
საფრანგეთი	—	—	1

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 24 აგვისტოს გამართული მორიგი, 34-ე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 45"-დან: გაიყიდა 688 932 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (5 ბარათი) მოგება 9416 მანეთია, ოთხისთვის (1143) — 54, სამისთვის (24469) — ოთხი.

„სპორტლოტო 5 36"-დან: გაიყიდა 5 564 730 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (61 ბარათი) მოგება 5552 მანეთია, ოთხისთვის (6696) — 75, სამისთვის (165 702) — 5.

34-ე ტირაჟისა და 10-ტირაჟიანი (25-დან 34 ჩათვლით) ბარათების მოგებების განაღდება 8 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბის მოყვარულთა საყურადღებოდ

დღეს და ხვალ თბილისში გაიმართება უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის „ბ" ფინალურ ჯგუფში მოასპარეზე გუნდების შეხვედრები.

თბილისის „ლოკომოტივი" უმასპინძლებს ლენინგრადის „პრიმორეცს". მატჩები ჩატარდება ლოკომოტიველთა სტადიონზე. დასაწყისი — 19 საათზე (დღეს ავდრის შემთხვევაში შეხვედრა გაიმართება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე).

თბილისის „შევარდენი" სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს მიიღებს. შეხვედრები დაიწყება 17 საათზე.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 30 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2)**; ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადაცემა შტუტგარტიდან) — **12.15 (1)**; და **0.25 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში — **23.45 (2)**.

საქართველოს ტელევიზია. 30 აგვისტო. ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის (ნიჩბოსნობა) — **11.50**.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 30 აგვისტო. „ლოკომოტივის" სტადიონი. „იმედი" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი). დასაწყისი 16 ს. 30 წ.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

საკონკურსო დათვალიერება

5-დან 10 სექტემბრამდე „დინამოს" სპორტკომბინატის ჩოგბურთის კორტებზე (სტალინის სახელობის სანაპირო, 2) მოეწყობა 1977-1980 წლებში დაბადებული გოგონებისა და ბიჭების საკონკურსო დათვალიერება ჩოგბურთის სპორტულ სექციაში მისაღებად. დათვალიერება ჩატარდება ყოველდღიურად 9-დან 12-მდე და 15-დან 18 საათამდე.

ჩოგბურთში მეცადინეობის მსურველებს, რომლებიც ნორმატივებს ვერ ჩააბარებენ, შესაძლებლობა მიეცემათ ივარჯიშონ ფასიან სააბონემენტო ჯგუფებში.

თბილისის სპორტის სასახლე

გიწვევთ აერობიკის, ტრენაჟორების, ათლეტური ტანვარჯიშის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთისა და ბადმინტონის საბონემენტო ჯგუფებში სამეცადინოდ. ჯგუფებს ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილი სპეციალისტები.

მოვარჯიშენი უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო მომსახურებით, კეთილმოწყობილი გასახდელებითა და საშხაპეებით.

მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, დილის 7-დან საღამოს 19 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ დილის 10-დან 17 საათამდე.

ტელეფონები: 36-20-54, 36-00-84

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-ი2,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612